

## შპს „იფელი დილომის“

ფინანსური და მმართველობის  
ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
საანგარიშგებო წლისთვის

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „იფელი დილომის“ - დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოდIFIცირებული (პირობითი) მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „იფელი დილომის“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა ქვეთავში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხებისა, შპს-ის „იფელი დილომი“ ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ შევისწავლეთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია და ვასკვნით, რომ წარმოდგენილი საკითხი არსებითია მაგრამ არა ყოვლისმომცველი.

კერძოდ:

- 1) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი უფიქსირდება - 1 565 145 ლარი. ხოლო, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური მარაგები - 1 862 048 ლარს შეადგენს. ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ ვიყავით 2022 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის, შესაბამისად ვერ დავაკვირდით სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს. ასევე კლიენტმა ვერ მოგვაწოდა ინვენტარიზაციის აქტები (შესაბამისი წესით შედგენილი). ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ ვადასტურებთ საქონლის ნაშთის ფაქტობრივი ოდენობის შესაბამისობას ანგარიშგებაში გაჟღერებულ საქონლის ნაშთის ოდენობასთან, ასევე, ვერ განვსაზღვრეთ ჩამოსაფასებელი საქონლის ოდენობა. გამომდინარე აქედან ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხველ მარაგთან დაკავშირებით.
- 2) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნაშთი უფიქსირდება - 13 733 995 ლარის. ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს - 15 664 337 ლარს. ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ ვიყავით 2022 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის, შესაბამისად ვერ მოვითხოვდით ინვენტარიზაციას აღნიშნულ პერიოდში, ვერც დამკვეთმა წარმოგვიდგინა ინვენტარიზაციის აქტები. გამომდინარე აქედან ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხველ აქტივებთან დაკავშირებით.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც

გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

#### **მნიშვნელოვანი გარემოება - ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა**

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიამ მიიღო წმინდა ფინანსური მოგება, მას უფიქსირდება დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები და მომავალში საოპერაციო საქმიანობის გაგრძელების, აღებული მოვალეობების შესრულებისა და საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა დამოკიდებულია კომპანიის შესაძლებლობაზე განახორციელოს მომგებიანი ოპერაციები ან/და მოიხიდოს დამატებითი ფინანსები. დამატებით, როგორც ეს ასევე გაშიფრულია მე-2 შენიშვნაში, კომპანიის საქმიანობაზე გავლენა ვერ მოახდინა ახალი კორონავირუსის (COVID-19) ეპიდემიურმა აფეთქებამ, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში გამოაცხადა გლობალურ პანდემიად.

მოცემული ფაქტები მიუთითებს რომ კომპანიას უნარი შესწევს, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე კორექტირებას, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს რაიმე განუსაზღვრელობით.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

#### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

#### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

#### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და გინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

• შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

• ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონიერულობას;

• გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

#### **აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

#### **მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან**

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

• მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და

• მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს-ის „ანდრე აუდიტი“

სახელით

/ზაზა მჭედლიშვილი/

თბილისი, საქართველო

27 დეკემბერი 2023 წ.

• ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

• გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

#### **აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

**მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან**

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

• მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და

• მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს-ის „ანდრე აუდიტი“

სახელით



/ზაზა მჭედლიშვილი/

თბილისი, საქართველო

27 დეკემბერი 2023 წ.

შინაარსი:

|                                                                                 |    |
|---------------------------------------------------------------------------------|----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა .....                                           | 2  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით .....    | 7  |
| სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით .....        | 8  |
| 2022 წლის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება .....                                 | 9  |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით..... | 10 |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები .....                            | 11 |

#### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

|                                                                   |    |
|-------------------------------------------------------------------|----|
| 4.6. სხვა მოკლევადიანი აქტივები: .....                            | 15 |
| 4.8. არამატერიალური აქტივები: .....                               | 16 |
| 4.9. გადავადებული საგადასახადო აქტივი: .....                      | 16 |
| 4.11. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები: .....                      | 17 |
| 4.12. სხვა ფინანსური ვალდებულებები: .....                         | 17 |
| 4.13. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები: .....                 | 17 |
| 5.1. დამატებითი განმარტებები საქმიანობის შედეგების შესახებ: ..... | 18 |
| 5.1.1. ამონაგები.....                                             | 18 |
| 5.1.2.1. წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი .....                    | 18 |
| 5.1.3. რეალიზებული პროდუქციის (საქონლის) თვითღირებულება:.....     | 19 |
| 5.1.4. რეკლამა და მარკეტინგი: .....                               | 19 |
| 5.1.5. მიწოდების დანახარჯები: .....                               | 19 |
| 5.1.6. დაქირავებულთა ხელფასი და სხვა გასამრჯელო .....             | 19 |
| 5.1.7. ცვეთა და ამორტიზაცია: .....                                | 20 |
| 5.1.8. აქტივების გაუფასურება: .....                               | 20 |
| 5.1.9. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები.....                       | 20 |
| 5.1.9.1. აუდიტის ანაზღაურება: .....                               | 20 |
| 5.1.9.2. საკონსულტაციო ხარჯი: .....                               | 20 |
| 5.1.9.3. საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა): .....   | 20 |
| 5.1.9.4. კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები: .....               | 21 |
| 5.1.9.5. საოპერაციო იჯარის ხარჯი: .....                           | 21 |
| 5.1.9.6. სხვა საოპერაციო ხარჯები: .....                           | 21 |
| 5.1.9.7. ფინანსური დანახარჯები:.....                              | 21 |
| 6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....                             | 22 |
| 7. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში .....                    | 23 |
| 8. დასკვნითი ნაწილი.....                                          | 23 |

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და მის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (მსს ფასს-ები).

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ინფორმაცია წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია მსს ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. კერძოდ:

- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და იგი მოიცავს აღნიშნული კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2023 წლის 27 დეკემბერს

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და მის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (მსს ფასს-ები).

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ინფორმაცია წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;


მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია მსს ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. კერძოდ:

- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და იგი მოიცავს აღნიშნული კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2023 წლის 27 დეკემბერს



სსიპ-ის „იფელი დილომი“ დირექტორი

*Handwritten signature in blue ink.*

ნისან იოსებაშვილი

**შპს „იფელი დილომი“ (საიდენტიფიკაციო N202296194)**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

**აქტივები**

**მიმდინარე აქტივები**

|                                   | შენიშვნა | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|-----------------------------------|----------|------------|------------|
| ფულადი სახსრები                   | 4.1.     | 1 647 759  | 516 945    |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი    | 4.2.     | 499 368    | 27 936     |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები | 4.3.     | 1 862 048  | 1 565 145  |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები        | 4.4.     | 4 664 637  | 3 696 090  |
| საგადასახადო აქტივი               | 4.5.     | 0          | 149 137    |
| სხვა მიმდინარე აქტივი             | 4.6.     | 498 134    | 358 492    |

**სულ მიმდინარე აქტივები**

**9 171 947 6 313 745**

**გრძელვადიანი აქტივები**

|                                  |      |            |            |
|----------------------------------|------|------------|------------|
| ძირითადი საშუალებები             | 4.7. | 15 664 337 | 13 733 995 |
| არამატერიალური აქტივები          | 4.8. | 3 507      | 4 383      |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 4.9. | 0          | 0          |

**სულ გრძელვადიანი აქტივები**

**15 667 844 13 738 379**

**სულ აქტივები**

**24 839 791 20 052 124**

**ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი**

**მოკლევადიანი ვალდებულება**

|                                 |       |         |        |
|---------------------------------|-------|---------|--------|
| სავაჭრო ვალდებულებები           | 4.10. | 554 593 | 0      |
| მიღებული ავანსები               | 4.10. | 32 893  | 33 748 |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 4.11. | 34 365  | 36 369 |

**სულ მიმდინარე ვალდებულება**

**621 852 70 117**

**გრძელვადიანი ვალდებულება**

|                                         |       |           |           |
|-----------------------------------------|-------|-----------|-----------|
| სხვა ფინანსური ვალდებულებები            | 4.12. | 496 598   | 496 598   |
| სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 4.13. | 1 262 362 | 3 846 532 |

**სულ გრძელვადიანი ვალდებულება**

**1 758 961 4 343 130**

**სულ ვალდებულება**

**2 380 812 4 413 247**

**საკუთარი კაპიტალი**

|                                           |  |            |            |
|-------------------------------------------|--|------------|------------|
| სააქციო კაპიტალი                          |  | 35 380     | 35 380     |
| გაუნაწილებელი მოგება                      |  | 20 270 343 | 13 450 241 |
| ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი |  | 124 867    | 124 867    |
| სხვა რეზერვები                            |  | 2 028 388  | 2 028 388  |

**სულ კაპიტალი**

**22 458 978 15 638 877**

**სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი**

**24 839 791 20 052 124**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 27 დეკემბერი.

შპს-ის „იფელი დილომი“, (საიდენტიფიკაციო N202296194)

დირექტორი

/ნისან იოსებაშვილი/

მთავარი ბუღალტერი

/იამზე კაპანაძე/

შპს „იფელი დილომი“ (საიდენტიფიკაციო N202296194)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## აქტივები

### მიმდინარე აქტივები

|                                   | შენიშვნა | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|-----------------------------------|----------|------------|------------|
| ფულადი სახსრები                   | 4.1.     | 1 647 759  | 516 945    |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი    | 4.2.     | 499 368    | 27 936     |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები | 4.3.     | 1 862 048  | 1 565 145  |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები        | 4.4.     | 4 664 637  | 3 696 090  |
| საგადასახადო აქტივი               | 4.5.     | 0          | 149 137    |
| სხვა მიმდინარე აქტივი             | 4.6.     | 498 134    | 358 492    |

### სულ მიმდინარე აქტივები

**9 171 947** **6 313 745**

### გრძელვადიანი აქტივები

|                                  |      |            |            |
|----------------------------------|------|------------|------------|
| ძირითადი საშუალებები             | 4.7. | 15 664 337 | 13 733 995 |
| არამატერიალური აქტივები          | 4.8. | 3 507      | 4 383      |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 4.9. | 0          | 0          |

### სულ გრძელვადიანი აქტივები

**15 667 844** **13 738 379**

## სულ აქტივები

**24 839 791** **20 052 124**

## ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

### მოკლევადიანი ვალდებულება

|                                 |       |         |        |
|---------------------------------|-------|---------|--------|
| სავაჭრო ვალდებულებები           | 4.10. | 554 593 | 0      |
| მიღებული ავანსები               | 4.10. | 32 893  | 33 748 |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 4.11. | 34 365  | 36 369 |

### სულ მიმდინარე ვალდებულება

**621 852** **70 117**

### გრძელვადიანი ვალდებულება

|                                         |       |           |           |
|-----------------------------------------|-------|-----------|-----------|
| სხვა ფინანსური ვალდებულებები            | 4.12. | 496 598   | 496 598   |
| სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 4.13. | 1 262 362 | 3 846 532 |

### სულ გრძელვადიანი ვალდებულება

**1 758 961** **4 343 130**

### სულ ვალდებულება

**2 380 812** **4 413 247**

### საკუთარი კაპიტალი

|                                           |  |            |            |
|-------------------------------------------|--|------------|------------|
| სააქციო კაპიტალი                          |  | 35 380     | 35 380     |
| გაუნაწილებელი მოგება                      |  | 20 270 343 | 13 450 241 |
| ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი |  | 124 867    | 124 867    |
| სხვა რეზერვები                            |  | 2 028 388  | 2 028 388  |

### სულ კაპიტალი

**22 458 978** **15 638 877**

## სულ ვალდებულებები და საკუთარი

**24 839 791** **20 052 124**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 27 დეკემბერი.

შპს-ის „იფელი დილომი“, (საიდენტიფიკაციო N202296194)

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

*[Handwritten signature]*

/ნისან იოსებაშვილი/

/იამზე კაპანაძე/

## შპს „იფელი დილომი“ (საიდენტიფიკაციო N202296194)

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| დასახელება                                 | შენიშვნა | 31.12.2022          | 31.12.2021          |
|--------------------------------------------|----------|---------------------|---------------------|
| ამონაგები                                  | 5.1.1.   | 61 923 115          | 44 085 939          |
| არასაოპერაციო შემოსავალი (მათ შორის)       | 5.1.2.   | 61 480              | - 438 131           |
| წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი            | 5.1.2.1. | - 3 768             | - 460 806           |
| სხვა ფინანსური შემოსავალი                  | 5.1.2.2. | 65 249              | 22 675              |
| სულ შემოსავალი                             |          | <b>61 984 595</b>   | <b>43 647 808</b>   |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება      | 5.1.3.   | - <b>39 894 291</b> | - <b>30 091 126</b> |
| რეკლამა და მარკეტინგი                      | 5.1.4.   | - 3 422 903         | - 2 256 479         |
| მიწოდების დანახარჯები                      | 5.1.5.   | - 1 765 518         | - 1 195 885         |
| თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელო | 5.1.6.   | - 6 173 650         | - 4 750 090         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                       | 5.1.7.   | - 1 362 552         | - 979 216           |
| აქტივების გაუფასურება                      | 5.1.8.   | - 532 828           | - 236 868           |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები | 5.1.9.   | - 1 885 973         | - 1 417 792         |
| ფინანსური დანახარჯები                      |          | - 126 780           | - 103 053           |
| მიმდინარე პერიოდის მოგება                  |          | <b>6 820 102</b>    | <b>2 617 298</b>    |
| მოგების გადასახადი                         |          | -                   | -                   |
| გაუნაწილებელი მოგება                       |          | <b>6 820 102</b>    | <b>2 617 298</b>    |
| გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში       |          | <b>13 450 241</b>   | <b>10 832 942</b>   |
| დივიდენდი                                  |          | -                   | -                   |
| გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს            |          | <b>20 270 343</b>   | <b>13 450 241</b>   |

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 27 დეკემბერი.

შპს-ის „იფელი დილომი“, (საიდენტიფიკაციო N202296194)

დირექტორი

/ნისან იოსებაშვილი/

მთავარი ბუღალტერი

/იამზე კაპანაძე/

**შპს „იფელი დიგომი“ (საიდენტიფიკაციო N202296194)**

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| დასახელება                                 | შენიშვნა | 31.12.2022        | 31.12.2021        |
|--------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| ამონაგები                                  | 5.1.1.   | 61 923 115        | 44 085 939        |
| არასაოპერაციო შემოსავალი (მათ შორის)       | 5.1.2.   | 61 480            | - 438 131         |
| წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი            | 5.1.2.1. | - 3 768           | - 460 806         |
| სხვა ფინანსური შემოსავალი                  | 5.1.2.2. | 65 249            | 22 675            |
| სულ შემოსავალი                             |          | <b>61 984 595</b> | <b>43 647 808</b> |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება      | 5.1.3.   | - 39 894 291      | - 30 091 126      |
| რეკლამა და მარკეტინგი                      | 5.1.4.   | - 3 422 903       | - 2 256 479       |
| მიწოდების დანახარჯები                      | 5.1.5.   | - 1 765 518       | - 1 195 885       |
| თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელო | 5.1.6.   | - 6 173 650       | - 4 750 090       |
| ცვეთა და ამორტიზაცია                       | 5.1.7.   | - 1 362 552       | - 979 216         |
| აქტივების გაუფასურება                      | 5.1.8.   | - 532 828         | - 236 868         |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები | 5.1.9.   | - 1 885 973       | - 1 417 792       |
| ფინანსური დანახარჯები                      |          | - 126 780         | - 103 053         |
| მიმდინარე პერიოდის მოგება                  |          | <b>6 820 102</b>  | <b>2 617 298</b>  |
| მოგების გადასახადი                         |          | -                 | -                 |
| გაუნაწილებელი მოგება                       |          | <b>6 820 102</b>  | <b>2 617 298</b>  |
| გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში       |          | <b>13 450 241</b> | <b>10 832 942</b> |
| დივიდენდი                                  |          | -                 | -                 |
| გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს            |          | <b>20 270 343</b> | <b>13 450 241</b> |

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 27 დეკემბერი.

შპს-ის „იფელი დიგომი“ (საიდენტიფიკაციო N202296194)

დირექტორი

*[Handwritten signature]*

/ნისან იოსებაშვილი/

მთავარი ბუღალტერი

*[Handwritten signature]*

/იამზე კაპანაძე/



## შპს „იფელი დილომი“ (საიდენტიფიკაციო N202296194)

### 2022 წლის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

| შინაარსი                                                         | კაპიტალი | ძირითადი<br>საშუალებების<br>გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება/ზარალი | სხვა<br>რეზერვები | სულ        |
|------------------------------------------------------------------|----------|----------------------------------------------------|--------------------------------|-------------------|------------|
| ნაშთი 2020 წლის<br>საანგარიშგებო<br>პერიოდის ბოლო<br>თარიღისთვის | 35 380   | 124 867                                            | 10 832 942                     | 2 028 388         | 13 021 577 |
| მოგება / (ზარალი)                                                |          |                                                    | 2 617 299                      |                   | 2 617 299  |
| დივიდენდის<br>გამოცხადება                                        |          |                                                    | 0                              |                   | -          |
| ნაშთი 2021 წლის<br>საანგარიშგებო<br>პერიოდის ბოლო<br>თარიღისთვის | 35 380   | 124 867                                            | 13 450 241                     | 2 028 388         | 15 638 876 |
| მოგება / (ზარალი)                                                |          |                                                    | 6 820 102                      |                   | 6 820 102  |
| დივიდენდის<br>გამოცხადება                                        |          |                                                    | 0                              |                   | -          |
| ნაშთი 2022 წლის<br>საანგარიშგებო<br>პერიოდის ბოლო<br>თარიღისთვის | 35 380   | 124 867                                            | 20 270 343                     | 2 028 388         | 22 458 978 |

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 27 დეკემბერი  
შპს-ის „იფელი დილომი“, (საიდენტიფიკაციო N202296194)

დირექტორი /ნისან იოსებაშვილი/

მთავარი ბუღალტერი | /იამზე კაპანაძე/

შპს „იფელი დილომი“ (საიდენტიფიკაციო N202296194)

2022 წლის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

| შინაარსი                                                          | კაპიტალი | ძირითადი<br>საშუალებების<br>გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება/ზარალი | სხვა<br>რეზერვები | სულ        |
|-------------------------------------------------------------------|----------|----------------------------------------------------|--------------------------------|-------------------|------------|
| ნაშთი 2020 წლის<br>საანგარიშგებო<br>პერიოდის ბოლოს<br>თარიღისთვის | 35 380   | 124 867                                            | 10 832 942                     | 2 028 388         | 13 021 577 |
| მოგება / (ზარალი)                                                 |          |                                                    | 2 617 299                      |                   | 2 617 299  |
| დივიდენდის<br>გამოცხადება                                         |          |                                                    | 0                              |                   | -          |
| ნაშთი 2021 წლის<br>საანგარიშგებო<br>პერიოდის ბოლოს<br>თარიღისთვის | 35 380   | 124 867                                            | 13 450 241                     | 2 028 388         | 15 638 876 |
| მოგება / (ზარალი)                                                 |          |                                                    | 6 820 102                      |                   | 6 820 102  |
| დივიდენდის<br>გამოცხადება                                         |          |                                                    | 0                              |                   | -          |
| ნაშთი 2022 წლის<br>საანგარიშგებო<br>პერიოდის ბოლოს<br>თარიღისთვის | 35 380   | 124 867                                            | 20 270 343                     | 2 028 388         | 22 458 978 |

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 27 დეკემბერი

შპს-ის „იფელი დილომი“ (საიდენტიფიკაციო N202296194)

დირექტორი

/ნისან იოსებაშვილი/

მთავარი ბუღალტერი

/იამზე კაპანაძე/



## შპს „იფელი დილომი“ (საიდენტიფიკაციო N202296194)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                                                              | 2022 წელი          | 2021 წელი          |
|------------------------------------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| <b>საოპერაციო საქმიანობა</b>                                                 |                    |                    |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები             | 67 733 626         | 47 902 317         |
| იჯარიდან მიღებული ფულადი სახსრები                                            | 183 624            | 127 589            |
| მიღებული ავანსები                                                            |                    |                    |
| გადახდილი თანხების უკან დაბრუნება                                            | 60 829             | 30 363             |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები</b>                     | <b>67 978 079</b>  | <b>48 060 268</b>  |
| მომწოდებლებზე გადახდილი თანხები                                              | (48 176 564)       | (36 889 711)       |
| შრომის ანაზღაურება                                                           | (7 357 930)        | (5 754 695)        |
| მივლინება                                                                    | (27 500)           | (10 621)           |
| გადახდილი გადასახადები                                                       | (4 852 791)        | (3 276 117)        |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                                                      | (604 284)          | (499 423)          |
| შეცდომით გადახდილი თანხები                                                   |                    |                    |
| <b>ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                         | <b>6 959 011</b>   | <b>1 629 701</b>   |
| <b>საინვესტიციო საქმიანობა</b>                                               |                    |                    |
| ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან                  | 35 800             | 13 300             |
| <b>საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები</b>                   | <b>35 800</b>      | <b>13 300</b>      |
| ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის | (3 220 882)        | (3 650 533)        |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები</b>           | <b>(3 185 082)</b> | <b>(3 637 233)</b> |
| <b>საფინანსო საქმიანობა</b>                                                  |                    |                    |
| ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან                                         | 540 000            | 4 000 000          |
| საპროცენტო შემოსავალი                                                        | 65 780             | 18 923             |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                                                | 307 006            | 157 367            |
| <b>საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები</b>                      | <b>912 786</b>     | <b>4 176 290</b>   |
| დივიდენდების გადახდა                                                         | -                  | -                  |
| სესხის ძირის და პროცენტის გადახდა                                            | (3 209 235)        | (2 833 670)        |
| საბანკო ხარჯები/საკომისიოები                                                 | (260 710)          | (147 850)          |
| საგარანტიო ანარიცხები                                                        |                    |                    |
| სხვა ფინანსური ხარჯები                                                       | (12 927)           | (5 560)            |
| <b>ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>                          | <b>(2 570 087)</b> | <b>1 189 209</b>   |
| <b>ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში</b>          | <b>1 203 842</b>   | <b>(818 322)</b>   |
| <b>სავალუტო კურსის ეფექტი</b>                                                | <b>(73 028)</b>    | <b>(44 407)</b>    |
| ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის                                         | 516 945            | 1 379 675          |
| <b>ფულადი სახსრები წლის ბოლოს</b>                                            | <b>1 647 759</b>   | <b>516 945</b>     |

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 27 დეკემბერს:  
შპს-ის „იფელი დილომი“, (საიდენტიფიკაციო N202296194)

დირექტორი

/ნისან იოსებაშვილი/

მთავარი ბუღალტერი

/იამზე კაპანაძე/

# შპს „იფელი დილომი“ (საიდენტიფიკაციო N202296194)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                                                              | 2022 წელი    | 2021 წელი    |
|------------------------------------------------------------------------------|--------------|--------------|
| <b>საოპერაციო საქმიანობა</b>                                                 |              |              |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები             | 67 733 626   | 47 902 317   |
| იჯარიდან მიღებული ფულადი სახსრები                                            | 183 624      | 127 589      |
| მიღებული ავანსები                                                            |              |              |
| გადახდილი თანხების უკან დაბრუნება                                            | 60 829       | 30 363       |
| საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები                            | 67 978 079   | 48 060 268   |
| მომწოდებლებზე გადახდილი თანხები                                              | (48 176 564) | (36 889 711) |
| შრომის ანაზღაურება                                                           | (7 357 930)  | (5 754 695)  |
| მივლინება                                                                    | (27 500)     | (10 621)     |
| გადახდილი გადასახადები                                                       | (4 852 791)  | (3 276 117)  |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                                                      | (604 284)    | (499 423)    |
| შეცდომით გადახდილი თანხები                                                   |              |              |
| ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან                                | 6 959 011    | 1 629 701    |
| <b>საინვესტიციო საქმიანობა</b>                                               |              |              |
| ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან                  | 35 800       | 13 300       |
| საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები                          | 35 800       | 13 300       |
| ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის | (3 220 882)  | (3 650 533)  |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები                  | (3 185 082)  | (3 637 233)  |
| <b>საფინანსო საქმიანობა</b>                                                  |              |              |
| ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან                                         | 540 000      | 4 000 000    |
| საპროცენტო შემოსავალი                                                        | 65 780       | 18 923       |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                                                | 307 006      | 157 367      |
| საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები                             | 912 786      | 4 176 290    |
| დივიდენდების გადახდა                                                         | -            | -            |
| სესხის ძირის და პროცენტის გადახდა                                            | (3 209 235)  | (2 833 670)  |
| საბანკო ხარჯები/საკომისიოები                                                 | (260 710)    | (147 850)    |
| საგარანტიო ანარიცხები                                                        |              |              |
| სხვა ფინანსური ხარჯები                                                       | (12 927)     | (5 560)      |
| ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან                                 | (2 570 087)  | 1 189 209    |
| ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში                 | 1 203 842    | (818 322)    |
| სავალუტო კურსის ეფექტი                                                       | (73 028)     | (44 407)     |
| ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის                                         | 516 945      | 1 379 675    |
| ფულადი სახსრები წლის ბოლოს                                                   | 1 647 759    | 516 945      |

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 27 დეკემბერს:

შპს-ის „იფელი დილომი“, (საიდენტიფიკაციო N202296194)

დირექტორი



*[Handwritten signature]*

/ნისან იოსებაშვილი/

მთავარი ბუღალტერი

*[Handwritten signature]*

/იამზე კაპანაძე/

**შპს „იფელი დილომის“ (ს.კ. №202296194)**  
**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

## **1, ზოგადი ინფორმაცია**

1.1. შპს „იფელი - დილომი“ (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 2005 წლის 5 დეკემბერს, რეგისტრაციის №1695/002

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის პარტნიორები არიან: (საბოლოო მავონტროლებელი პირები)

- ნისან იოსებაშვილი, წილი კაპიტალში 70%; (პ/ნ 01010001184)
- დანიელ იოსებაშვილი, წილი კაპიტალში 30%; (პ/ნ 01008025850)

1.2. საწარმოს ძირითადი საქმიანობაა:

- ◆ C.10.71.1 პურის წარმოება;
- ◆ C.10.71.2 არახანგრძლივი შენახვის საკონდიტრო პროდუქციის წარმოება;
- ◆ C.10.72.0 ორცხოვნილებისა და მშრალი ნამცხვრის წარმოება
- ◆ G.46.36.2 საბითუმო ვაჭრობა შოკოლადით და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით;
- ◆ G.46.36.3 საბითუმო ვაჭრობა პურით და პურფუნთუშეული ნაწარმით;
- ◆ G.47.24.0 საცალო ვაჭრობა პურით, ნამცხვრებით, ფქვილოვანი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში;
- ◆ სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

საწარმო წარმოადგენს მეორე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება;

1.4. შვილობილი და მეკავშირე საწარმოები:

- საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები;

1.5. საწარმოს სტრუქტურა:

- თეთრი პურ-პროდუქტების საწარმოო უბანი;
- შავი პურის საწარმოო უბანი;
- საფირმო პურ-პროდუქტების საამქრო;
- ცომეული საკონდიტრო ნაწარმის საწარმოო უბანი;
- სადისტრიბუციო სამსახური;
- ტექნიკური და ეკონომიკური ქვედანაყოფები.

## **2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები:**

კომპანიის პროდუქცია იყიდება ქ. თბილისში, გორში, ხაშურში, მცხეთაში, კახეთში, დასავლეთ საქართველოს რეგიონებში (ქუთაისში, სამტრედიისში, ფოთში, სენაკსა და ზუგდიდში) და აჭარაში. პურპროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ბაზარზე დიდი კონკურენციაა საწარმო დღეისათვის კარგად ართმევს თავს ამ კონკურენციას, პროდუქციის ხარისხისა და აქტიური მარკეტინგული საქმიანობის ხარჯზე. კომპანიამ 2019 წელს განხორციელა პურის საცხოვრებელი ღუმელების შეცვლა ახალი თაობის ღუმელებით. დღეისათვის საწარმო თავისი ტექნიკური აღჭურვილობით ერთერთი საუკეთესოა საქართველოში.

წარმოების გაფართოების მიზნით საწარმომ შეისყიდა საწარმოო ფართი, სადაც 2021 წელს განხორციელდა რეკონსტრუქცია და დაიწყო საწარმოს მშენებლობა. ამასთან აღნიშნულ ტერიტორიაზე 2022 წლის ბოლოსთვის განხორციელდა ფუნთუშეულისა და ცომეული საკონდიტრო პროდუქციის წარმოების გახსვა.

მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილია სარეკლამო პროცესის გააქტიურება და სადისტრიბუციო საქმიანობის არსებითი გაუმჯობესება.

ამრიგად, კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, საწარმო ფინანსურად სტაბილურია და მას შეუძლია საკუთარი სახსრებით გააგრძელოს კომპანიის განვითარება და ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნება.

| საწარმოს ფუნქციონირებადობის ანალიზი | გაუნაწილებელი მოგება / ზარალი |
|-------------------------------------|-------------------------------|
| ნაშთი 31.12.2019 წლის მდგომარეობით  | 8 061 751                     |
| 2020 წლის მოგება                    | 2 771 191                     |
| დივიდენდის გამოცხადება              | -                             |
| ნაშთი 31.12.2020 წლის მდგომარეობით  | 10 832 942                    |
| 2021 წლის მოგება                    | 2 617 298                     |
| დივიდენდის გამოცხადება              | -                             |
| ნაშთი 31.12.2021 წლის მდგომარეობით  | 13 450 241                    |
| 2022 წლის მოგება                    | 6 820 103                     |
| დივიდენდის გამოცხადება              | -                             |
| ნაშთი 31.12.2022 წლის მდგომარეობით  | 20 270 344                    |

### 3. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

3.1. საწარმოს მიერ, 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია მსს ფასს-ის შესაბამისად.

3.2. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

3.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის;

3.4. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საწარმო მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.5. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების უწყისში შეტანილია წინა საანგარიშგებო პერიოდის 2018 წლის ფინანსური ინფორმაცია.

3.6. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად;

- 3.7. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:
- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას;
  - საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
  - ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
  - კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
  - განმარტებით შენიშვნებს.
  - მმართველობით ანგარიშგებას.

3.8. საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, საწარმო იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ბარტერიითა და უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება რეალური ღირებულებით. ძირითადი საშუალებები ანგარიშგებაში აისახა ისტორიული ღირებულებით, ცვეთის გამოკლებით;

3.9. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი აქტივების გაუფასურების ნიშნები არ დადგენილა. აქედან გამომდინარე, გრძელვადიანი მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება ასახული არ არის;

3.10. მატერიალური მარაგები, საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, აღირიცხება უწყვეტი მეთოდით, ხოლო მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულია „საშუალო-შეწონილი“ მოდელი;

3.11. პროდუქციის თავისებურებიდან გამომდინარე (პურ-პროდუქტების ვარგისიანობის ვადა 72 საათია)

მაღალი კონკურენციის გამო მოძველებული პროდუქციის რეალიზაცია გაძნელებულია. ამიტომ, სავაჭრო ქსელიდან 24 საათის შემდეგ, პროდუქცია საწარმოს უბრუნდება და მისი რეალიზაცია (ვარგისიანობის ვადაში) წარმოებს საფირმო მაღაზიიდან „ნეტო სარეალიზაციო“ - ჩამოფასებული ფასით. პროდუქციის გაუფასურება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია ზარალის სახით. ხოლო, არარეალიზებული ფუნთუშეული საწარმოს უბრუნდება 24-32 საათის შემდეგ, რომელიც გამოიყენება ორცხოვნილას წარმოებაში.

3.12. საწარმოს გააჩნია საავტორო უფლებები ახალ პროდუქციაზე და სამარკო ნიშანი, მაგრამ რადგანაც ისინი შექმნილია საწარმოს შიგნით გაწეული დანახარჯებით, არამატერიალურ აქტივად აღიარებული არ არის და მიკუთვნებულია მიმდინარე პერიოდის ხარჯებზე;

3.14. დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით. ფეკილის ტომრების ღირებულება ვერ იმიჯნება ფეკილის თვითღირებულებიდან, რის გამოც მთლიანად ჩამოიწერება დაუმთავრებელ წარმოებაზე, ხოლო ტომრები მეორადი გამოყენებისათვის შემოსავალში აიღება წმინდა სარეალიზაციო („ნეტო სარეალიზაციო“) ფასით და აღიარებულია არასაოპერაციო შემოსავლად;

3.15. პურ-პროდუქტებისა და ფუნთუშეულის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული მასალები, რომელთა ხარჯვის ნორმის საიმედოდ დადგენა ვერ ხერხდება, ჩამოიწერება ფაქტობრივი დანახარჯების შესაბამისად.

3.16. ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. საწვავი დისტრიბუციის სატვირთო ავტოფურგონებზე ჩამოიწერება სასაქონლო ზედნადების მიხედვით დადგენილ მარშრუტზე ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად აქტის საფუძველზე.

3.17. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

3.18. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);

3.19. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

3.20. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში (შესაბამის დეკლარაციაში) ასახული თანხით;

#### 4. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

##### 4.1. ფულადი სახსრები:

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით;

| ფული და ფულის ეკვივალენტები       |                          |                          |
|-----------------------------------|--------------------------|--------------------------|
| დასახელება                        | 31.12.2022 წ<br>მდგომარ. | 31.12.2021 წ<br>მდგომარ. |
| ნაღდი ფული საღაროში               | 1 574                    | 8 599                    |
| ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშზე | 1 169 263                | 157 071                  |
| რუსული რუბლი საბანკო ანგარიშზე    | 476 921                  | 351 275                  |
| <b>ჯამი</b>                       | <b>1 647 759</b>         | <b>516 945</b>           |

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით.

შეზღუდული ფული ან ფულის ეკვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;

#### 4.2. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი:

| დასახელება                   | 31.12.2022 ₾   | 31.12.2021 ₾  |
|------------------------------|----------------|---------------|
| მომწოდებლებისათვის გადახდილი | 499 368        | 27 936        |
| <b>ჯამი</b>                  | <b>499 368</b> | <b>27 936</b> |

#### 4.3. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

შესყიდული მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით. დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით. მზაპროდუქციის თვითღირებულებაში ძირითად ნედლეულთან ერთად ასევე შეიტანება პურპროდუქტების წარმოებაზე გაწეული ზედნადები ხარჯები. ცვლადი ზედნადები გამოთვლილია პროდუქციის ერთეულზე, წარმოების მოცულობის გათვალისწინებით. ამასთან, მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულით.

##### სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთები

| სასაქონლო-მატერიალური მარაგების დასახელება  | 31.12.2022 ₾     | 31.12.2021 ₾     |
|---------------------------------------------|------------------|------------------|
| საქონელი                                    | 3 713            | 9 175            |
| ნედლეული და მასალები                        | 1 462 437        | 1 167 990        |
| დამხმარე მასალები                           | 83 664           | 106 141          |
| მოწყობილობების საექსპლუატაციო მასალები      | 91 125           | 127 156          |
| მაკულატურა                                  | -                | 200              |
| საწარმოო მოწყობილობების სათადარიგო ნაწილები | 88 829           | 99 112           |
| ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები          | 39 775           | 38 145           |
| კომპიუტერის სათადარიგო ნაწილები             | 0                | 6 740            |
| საწვავ-საცხები მასალები                     | 77 623           | 4 189            |
| მეორადი ტომრები                             | 14 882           | 6 296            |
| <b>ჯამი</b>                                 | <b>1 862 048</b> | <b>1 565 145</b> |

#### 4.4. სავაჭრო მოთხოვნები:

საწარმოს სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული შემოსავლებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. ამასთან, საწარმოს საქონლისა და მომსახურების მიწოდება დაკავშირებული მხარეების მიმართ არ განუხორციელებია. ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი ასახვა მოხდებოდა განცალკევებულად.

აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოება პერიოდის ბოლოს არსებულ მოთხოვნებზე აფასებს გაუფასურების ნიშნებს და ასეთის არსებობის შემთხვევაში ახორციელებს შესაბამის კორექტირებებს. შესაძლო გაუფასურების საფუძველად მიჩნეულია დებიტორების ფინანსური პრობლემები, დეფოლტი ან/და ერთ წელზე მეტი ვადით გადაცილება და სხვა. შესაბამისად, საზოგადოება ასეთ აქტივებს ან/და აქტივების ნაწილს აღიარებს ხარჯად.

| სავაჭრო მოთხოვნების დასახელება                    | 31.12.2022 ₾<br>მდგომარ. | 31.12.2021 ₾<br>მდგომარ. |
|---------------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 190                      | 190                      |
| მოთხოვნები მიწოდებიდან კონსიგნაციით               | 4 581 177                | 3 629 374                |
| მოთხოვნები დამოუკიდებელი დისტრიბუტორებიდან        | 15 806                   | 32 997                   |
| მოთხოვნები სხვა მომსახურებიდან                    | 67 464                   | 33 528                   |
| <b>ჯამი</b>                                       | <b>4 664 637</b>         | <b>3 696 089</b>         |

#### 4.5. საგადასახადო აქტივი:

საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში (შესაბამის დეკლარაციაში) ასახული თანხით; საანგარიშგებო პერიოდში ადგილი აქვს ბიუჯეტში წინასწარ გადახდებს, შესაბამისად წარმოიშვა მიმდინარე საგადასახადო აქტივი.

| დასახელება                 | 31.12.2022 ₾<br>მდგომარ. | 31.12.2021 ₾<br>მდგომარ. |
|----------------------------|--------------------------|--------------------------|
| საერთო საგადასახადო აქტივი | 0                        | 149 137                  |
| <b>ჯამი</b>                | <b>0</b>                 | <b>149 137</b>           |

#### 4.6. სხვა მოკლევადიანი აქტივები:

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების მოკლევადიან აქტივებში ასახულია ისეთი აქტივები, რომლებიც ასახული არ არის წარმოდგენილი ბალანსის სხვა მუხლებში. კერძოდ ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული საქვეანგარიშო თანხების დაუხურავი ნაშთი და მიმდინარე სამეურნეო დანიშნულების აქტივები.

ამასთან, მიმდინარე აქტივების საბალანსო ანგარიშზე, სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად ასევე ასახულია მრავალჯერადი გამოყენების საგნები, რომლებიც ეკონომიკური შინაარსით არ მიეკუთვნება არც სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს და ვერ აკმაყოფილებენ ძირითადი საშუალებად აღიარების კრიტერიუმებს:

| სხვა მიმდინარე აქტივების დასახელება         | 31.12.2022 წ<br>მდგომარ. | 31.12.2021 წ<br>მდგომარ. |
|---------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| მოთხოვნები ანგარიშ ვალდებული პირების მიმართ | 4                        | 4                        |
| სამეურნეო აქტივები                          | 159 128                  | 115 120                  |
| დამხმარე ინვენტარი                          | 329 807                  | 237 756                  |
| სარეკლამო ინვენტარი                         | 42                       | 8                        |
| სამეურნეო ინვენტარი                         | 3 845                    | 3 976                    |
| სიმბარათები                                 | 55                       | 55                       |
| სპეცტანსაცმელი                              | 3 863                    | 1 243                    |
| სხვა მიმდინარე აქტივი                       | 1 390                    | 330                      |
| <b>ჯამი</b>                                 | <b>498 134</b>           | <b>358 492</b>           |

#### 4.7. ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებების აღიარების პრინციპი დაფუძნებულია მსს ფასს მე-17 განყოფილების მოთხოვნების სრული დაცვით. საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით ძირითადი საშუალებები აღრიცხვა წარმოებს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, ხოლო ცვეთის დარიცხვა წარმოებს შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები საანგარიშგებო პერიოდისათვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა. ამასთან, მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე (შენიშვნა 4.6.).

| ძირითადი საშუალებების დასახელება | 31.12.2022 წ | 31.12.2021 წ |
|----------------------------------|--------------|--------------|
| მიწის ნაკვეთი დილოში             | 1 383 769    | 1 383 769    |
| მიწის ნაკვეთი გომიაშვილის №44    | 535 560      | 535 560      |
| მიწის ნაკვეთი გომიაშვილის №67    | 1 973 000    | 1 973 000    |
| მიწის ნაკვეთი გომიაშვილის №99    | 677 386      | 677 386      |
| მიწის ნაკვეთი ქუთაისში           | 224 617      | 207 560      |
| დაუმთავრებელი მშენებლობა         | 859 515      |              |
| ადგილზე დამზადებული ინვენტარი    | 138 278      | 119 529      |
| ინვენტარის (დახლის) ცვეთა        | -39 923      | -27 937      |
| შენობები                         | 4 957 996    | 4 957 996    |
| შენობების ცვეთა                  | -1 025 369   | -818 389     |
| ნაგებობები                       | 199 546      | 104 529      |
| ნაგებობების ცვეთა                | -25 490      | -21 330      |
| მრავალწლიანი ნარგავები           | 32 558       | 36 848       |
| მრავალწლიანი ნარგავების ცვეთა    | -4 023       | -6 145       |
| მანქანა-დანადგარები              | 6 319 664    | 4 792 928    |
| მანქანა-დანადგარების ცვეთა       | -3 039 318   | -2 362 658   |
| ძალოვანი მანქანები               | 314 028      | 195 123      |
| ძალოვანი მანქანების ცვეთა        | -85 347      | -70 200      |
| ოფისის მოწყ. და კომპ/ტექნიკა     | 36 994       | 36 994       |

|                                   |                   |                   |
|-----------------------------------|-------------------|-------------------|
| ოფისის მოწყ. და კომპ/ტექ. ცვეთა   | -28 556           | -26 447           |
| დაცვის ვიდეო სისტემა              | 49 437            | 35 034            |
| დაცვის ვიდეო სისტემის ცვეთა       | -29 267           | -27 826           |
| ელექტროაპარატურა                  | 12 418            | 12 418            |
| ელექტროაპარატურის ცვეთა           | -10 009           | -9 407            |
| ავეჯი                             | 27 402            | 27 402            |
| ავეჯის ცვეთა                      | -25 266           | -24 732           |
| სპეციალური ინსტრუმენტები          | 5 000             | 5 000             |
| სპეც. ინსტრუმენტების ცვეთა        | -1 581            | -1 201            |
| საწარმოო ინვენტარი                | 2 419             | 2 419             |
| საწარმოო ინვენტარის ცვეთა         | -991              | -832              |
| ავტოტრანსპორტი                    | 2 729 332         | 2 360 600         |
| ავტოტრანსპორტის ცვეთა             | -1 184 085        | -902 266          |
| ტერიტორიის კეთილმოწყობა           | 50 474            | 50 474            |
| სავაჭრო ინვენტარი ქსელში          | 155 509           | 145 623           |
| სავაჭრო ინვენტარის ცვეთა          | -99 581           | -86 583           |
| მრავალჯერადი გამოყ. ტარა          | 501 927           | 407 897           |
| მრავალჯერადი გამოყ. ტარის ცვეთა   | -180 031          | -130 264          |
| 1000 ლარამდე ძირ/საშუალებები      | 567 902           | 455 465           |
| 1000 ლარამდე ძირ/საშუალებების ცვ. | -312 039          | -273 822          |
| ძირ. საშ. კონსერვაციის რეჟიმზე    | 480               | 480               |
| <b>ჯამი</b>                       | <b>15 664 337</b> | <b>13 733 995</b> |

#### 4.8. არამატერიალური აქტივები:

მსს ფასს მე-18 განყოფილების შესაბამისად, არამატერიალური აქტივების სახით საწარმოს გააჩნია პროგრამული უზრუნველყოფა, რაც ასახულია დაგროვილი ცვეთის შემცირებული თვითღირებულებით;

| არამატერიალური აქტივების დასახელება | 31.12.2022 წ | 31.12.2021 წ |
|-------------------------------------|--------------|--------------|
| სპეციალური კომპიუტერული პროგრამა    | 9 102        | 9 102        |
| სპეციალური კომპიუტერული პროგრამა    | -5 595       | -4 719       |
| <b>ჯამი</b>                         | <b>3 507</b> | <b>4 383</b> |

#### 4.9. გადავადებული საგადასახადო აქტივი:

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გადავადებული საგადასახადო აქტივი არ ერიცხება.

#### 4.10. სავაჭრო ვალდებულებები:

საწარმოს სავაჭრო ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული ხარჯებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. შესაბამისად, სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია პირვანდელი ღირებულებით.

| სავაჭრო ვალდებულებების დასახელება             | 31.12.2022 წ   | 31.12.2021 წ |
|-----------------------------------------------|----------------|--------------|
| ვალდებულებები საქონლის და მომსახურების მოწოდ. | 554 593        |              |
| <b>ჯამი</b>                                   | <b>554 593</b> |              |

| სავაჭრო ვალდებულებების დასახელება | 31.12.2022 წ  | 31.12.2021 წ  |
|-----------------------------------|---------------|---------------|
| მიღებული ავანსები                 | 32 893        | 33 748        |
| <b>ჯამი</b>                       | <b>32 893</b> | <b>33 748</b> |

#### 4.11. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების მუხლში ასახულია ვალდებულებები, რომელიც სხვა მუხლებში არ არის შეტანილი:

| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების დასახელება | 31.12.2022 წ.<br>მდგომარ. | 31.12.2021 წ.<br>მდგომარ. |
|---------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ვალდებულებები ანგ/ვალდებული პირების მიმართ  | 17 629                    | 19 827                    |
| საგადასახადო ვალდებულებები                  | 16 737                    | 16 542                    |
| <b>ჯამი</b>                                 | <b>34 365</b>             | <b>36 369</b>             |

#### 4.12. სხვა ფინანსური ვალდებულებები:

საწარმოს ძირითადად ყოველწლიურად აქვს გამოცხადებული დივიდენდები, თუმცა მათი გაცემა იმავე საანგარიშგებო პერიოდში ვერ ხერხდება და ვალდებულების ნაშთად რჩება, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია როგორც ფინანსურ ვალდებულება. თუმცა, 2020-2022 წლები შეიძლება ჩაითვალოს, როგორც გამონაკლისი ვინაიდან განხორციელდა საწარმოსთვის უპრეცედენტოდ დიდი ინვესტიცია. შესაბამისად, ფინანსური ვალდებულების დარჩა უცვლელი და 2022 წლის საანგარიშო პერიოდის საწყის და ბოლო თარიღისთვის შეადგენდა:

| ფინანსური ვალდებულებები | 31.12.2022 წ.<br>მდგომარ. | 31.12.2021 წ.<br>მდგომარ. |
|-------------------------|---------------------------|---------------------------|
| გადასახდელი დივიდენდები | 496 598                   | 496 598                   |
| <b>ჯამი</b>             | <b>496 598</b>            | <b>496 598</b>            |

#### 4.13. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

2019 წელს ს.ს-ის „საქართველოს ბანკი“ დახმარებით განხორციელდა - 4 262 000 ლარის ღირებულების საწარმოო ფართის შესყიდვა. აღნიშნული შესყიდვის განხორციელების მიზნით, 2019 წლის 30 დეკემბერს აღებულ იქნა - 3 197 300 ლარის გრძელვადიანი სესხი (სესხის ხელშეკრულება N6530586). აღნიშნული სესხის დაფარვა 2020 წელს გრაფიკის შესაბამისად განხორციელდა და საკურსო სხვაობის გათვალისწინებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახა, როგორც გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება და 2 176 620 ლარი შეადგინა. აღნიშნული სესხის დაფარვა 2021 წელსაც გრაფიკის შესაბამისად ხორციელდებოდა და გადახდის დღეს არსებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად საერთო ჯამში - 2 293 035 ლარი შეადგინა. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა სასესხო ვალდებულების გადაფასება და საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი - 441 710 ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, საზოგადოებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება - 325 295 ლარით განისაზღვრა. ამასთან, აღნიშნული სესხის გადახდა 2022 წელსაც გაგრძელდა და ოქტომბრის თვეში სრულად იქნა დაფარული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2021 წლის 29 აპრილის ა(ა)იპ-ს „სოფლის განვითარების სააგენტო“ და შპს-ის „იფელი დილომი“, (საიდენტიფიკაციო კოდი N202296194) შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმება მიზნობრივი თანადაფინანსების შესახებ. ასევე, შვეიცარულ შპს-ის „იფელი დილომი“, (საიდენტიფიკაციო კოდი N202296194) და სს-ს „საქართველოს ბანკი“ შორის გაფორმებული 2021 წლის 29 აპრილის NGCLCA000490415-7183456 სესხის ხელშეკრულება. სესხის თანხად განისაზღვრა - 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარი, ხოლო სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა - 1 320 000 (ერთი მილიონ სამას ოცი ათასი) ლარით განისაზღვრა. ამასთან, სესხის მიზნობრიობას წარმოადგენდა -

პურის საწარმოს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოება ქალაქ თბილისში, ვასო გომიაშვილის ქუჩა N44-სა (საკადასტრო კოდი N01.10.10.019.003) და დიღმის მასივის მე-2 კვარტალში ჩალადის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი N01.10.10.019.003). 2021 წელს, აღნიშნული სესხიდან გრაფიკის შესაბამისად გასტუმრებულ იქნა - 478 763 ლარი. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება - 3 521 237 ლარით განესაზღვრა. აღნიშნული სესხის დაფარვა 2022 წელსაც გაგრძელდა. აღნიშნული სესხის დაფარვის მიზნით საანგარიშო პერიოდში საბრუნავი სახსრებიდან საერთო ჯამში გადახდილ იქნა - 2 258 875 ლარი.

ამრიგად, ყოველივეზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საზოგადოებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება - 1 262 362 ლარით განისაზღვრა.

## 5. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება ხორციელდება დარიცხვის მეთოდით. ამასთან, შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით). როგორც ზემოთ აღინიშნა პურპროდუქტების წარმოებაზე მასალების ხარჯი აღირიცხება ნორმის მიხედვით და კომპიუტერული პროგრამა „ინფო-ბუღალტერიის“ მეშვეობით ავტომატურად ჩამოიწერება დაუმთავრებელ წარმოებაზე. შესაბამისად იგი ხარჯად აღიარდება, პროდუქციის რეალიზაციისას. დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით. მზა პროდუქციის თვითღირებულებაში ძირითად ნედლეულთან ერთად ასევე შეიტანება პურპროდუქტების წარმოებაზე გაწეული ზედნადები ხარჯები. ცვლადი ზედნადები გამოთვლილია პროდუქციის ერთეულზე, წარმოების მოცულობის გათვალისწინებით. ამასთან, პურპროდუქტების წარმოება საკმაოდ ენერგოტევადია და შესაბამისად მოხმარებული ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის ხარჯი გადანაწილკებულია პროდუქციის თვითღირებულებაზე. მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულით.

### 5.1. დამატებითი განმარტებები საქმიანობის შედეგების შესახებ:

#### 5.1.1. ამონაგები

| ამონაგების დასახელება               | 2022 წ            | 2021 წ            | ცვლილ.         |
|-------------------------------------|-------------------|-------------------|----------------|
| შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან | 63 146 499        | 44 901 722        | +40,63%        |
| პროდუქციის დაბრუნება და ფასდათმობა  | -1 606 940        | -1 191 537        | -34,86%        |
| შემოსავალი ვაჭრობიდან               | 142 696           | 119 882           | +19,03%        |
| მარაგების რეალიზაცია                | 10 711            | 162 091           |                |
| შემოსავალი იჯარიდან                 | 219 177           | 88 512            |                |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი          | 10 972            | 5 268             |                |
| <b>ჯამი</b>                         | <b>61 923 115</b> | <b>44 085 939</b> | <b>+40,46%</b> |

#### 5.1.2. არასაოპერაციო ზარალი - 3 767 ლარი. კერძოდ:

##### 5.1.2.1. წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი

ქვემოთ მოცემულია წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან ან გადაფასებიდან, რომელიც წარმოიშვა მიმდინარე პერიოდში საბანკო ანგარიშებზე არსებული სავალუტო ფულადი სახსრების ტექნიკური გადაფასებისა და ფულადი მუხლების გადაფასების შედეგად. ასევე, სხვა ხარჯების მუხლში იქნა შეტანილი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალიც. ამრიგად, მის ფასს-ის 30.10 განყოფილების მოთხოვნებიდან გამომდინარე აღნიშნული თანხები აკუმულირდა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. კერძოდ:

| დასახელება                                               | 2022 წ         | 2021 წ           |
|----------------------------------------------------------|----------------|------------------|
| შემოსავალი საკურსო სხვაობიდან და ტექნიკური გადაფასებიდან | 236 913        | 0                |
| ზარალი საკურსო სხვაობიდან                                | -3 271         | -190 139         |
| ზარალი ტექნიკური გადაფასებიდან                           | -237 409       | -270 667         |
| <b>ჯამი</b>                                              | <b>- 3 767</b> | <b>- 460 806</b> |

### 5.1.3. რეალიზებული პროდუქციის (საქონლის) თვითღირებულება:

სასაქონლო-მატერიალური მარაგები შემოსავალში აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ მარაგები აღირიცხება „საშუალო შეწონილი“ ღირებულებით. ძირითადი მასალებისა და ნედლეული ჩამოწერა დაუმთავრებელ წარმოებაზე ხორციელდება ხარჯვის ნორმებისა და წარმოებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით, ხოლო ტექნოლოგიური დანიშნულების დამხმარე მასალები ჩამოიწერება პროდუქციის ფაქტობრივი ხარჯვის შესაბამისად.

ვინაიდან ანგარიშგების დამტკიცებული ფორმა ითვალისწინებს თვითღირებულების გამოთვლას მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგების ცვლილებისა და გახარჯული (გამოყენებული) მასალებისა და ნედლეულის მუხლებში შეტანილ მონაცემებს, თვითღირებულება გამოთვლილია შესაბამისი დანახარჯების მიხედვით. გარდა მატერიალური დანახარჯებისა წარმოების პროცესში გამოყენებული ელექტროენერგიის ბუნებრივი აირისა და წყლის ხარჯი თვითღირებულებაში შეიტანება ცვლადი ზედნადები ხარჯების სახით. თვითღირებულება ასევე მოიცავს შრომის ანაზღაურებას. შესაბამისად, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შეადგენს:

| თვითღირებულების კომპონენტები                     | 2022 წ             | 2021 წ             |
|--------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| მატერიალური დანახარჯები (5.1.3.1)                | -35 622 814        | -26 734 474        |
| საწარმოო პერსონალის შრომის ანაზღაურება (5.1.3.2) | -2 944 134         | -2 369 194         |
| ზედნადები ხარჯები (5.1.3.3)                      | -2 097 533         | -1 529 563         |
| რეალიზებული პროდუქციის (საქონლის) დაბრუნება      | 770 191            | 542 105            |
| <b>ჯამი</b>                                      | <b>-39 894 291</b> | <b>-30 091 126</b> |

#### 5.1.3.2. წარმოების ხარჯები

პურპროდუქტების წარმოების დანახარჯებში მატერიალური დანახარჯების შემდეგ მაღალი წილი მოდის შრომის ანაზღაურებაზე, რაც - (2 944 134) ლარს შეადგენს.

#### 5.1.3.3. ზედნადები ხარჯები

პურპროდუქტების წარმოების დანახარჯებში მატერიალური დანახარჯების შემდეგ მაღალი წილი მოდის ენერგოდანახარჯებზე, რაც ნათლად ჩანს მოცემულ ცხრილში:

| ზედნადები ხარჯების დასახელება | 2022 წ            | 2021 წ            |
|-------------------------------|-------------------|-------------------|
| ელექტროენერგიის დანახარჯი     | -378 828          | -149 760          |
| ბუნებრივი აირის დანახარჯი     | -1 534 760        | -1 037 379        |
| წყლის ხარჯი                   | -204 945          | -342 424          |
| <b>ჯამი</b>                   | <b>-2 097 533</b> | <b>-1 529 563</b> |

### 5.1.4. რეკლამა და მარკეტინგი:

| დასახელება                            | 2022 წ            | 2021 წ            |
|---------------------------------------|-------------------|-------------------|
| სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება | -3 422 903        | -2 256 479        |
| <b>ჯამი</b>                           | <b>-3 422 903</b> | <b>-2 256 479</b> |

### 5.1.5. მიწოდების დანახარჯები:

| დასახელება              | 2022 წ            | 2021 წ            |
|-------------------------|-------------------|-------------------|
| ტრანსპორტირების ხარჯები | -1 738 518        | -1 144 210        |
| მიწოდების სხვა ხარჯები  | -27 000           | -51 675           |
| <b>ჯამი</b>             | <b>-1 765 518</b> | <b>-1 195 885</b> |

### 5.1.6. დაქირავებულთა ხელფასი და სხვა გასამრჯელო

| დასახელება                               | 2022 წ     | 2021 წ     |
|------------------------------------------|------------|------------|
| საკომისიო და შრომის ანაზღაურება          | -2 606 854 | -2 166 608 |
| ადმინისტრ. პერსონალის შრომის ანაზღაურება | -2 920 473 | -2 423 202 |

|                                              |                   |                   |
|----------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ანარიცხები დაგროვებით საპენსიო ფონდში ფონდში | -122 725          | -101 021          |
| პერსონალის პრემია                            | -129 185          | -53 475           |
| სხვა ხარჯები                                 | -394 414          | -5 785            |
| <b>ჯამი</b>                                  | <b>-6 173 650</b> | <b>-4 750 090</b> |
|                                              |                   |                   |

#### 5.1.7. ცვეთა და ამორტიზაცია:

|                                |                   |                 |
|--------------------------------|-------------------|-----------------|
| <b>დასახელება</b>              | <b>2022 წ</b>     | <b>2021 წ</b>   |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა    | -1 361 676        | -978 541        |
| არამატერიალური აქტივების ცვეთა | -876              | -675            |
| <b>ჯამი</b>                    | <b>-1 362 552</b> | <b>-979 216</b> |

#### 5.1.8. აქტივების გაუფასურება:

საწარმო ყოველწლიურად აანალიზებს აქტივების ღირებულების შესაძლო გაუფასურებას. მსს ფასს-27-ე განყოფილების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ისეთი აქტივები ფასეულობები, რომელთა საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას გაუფასურების ზარალი აკუმულირდება მოგება/ზარალის ანგარიშზე.

საწარმოს ძირითადი პროდუქციის - პურფუნთუშელის ვარგისიანობის ვადა შეზღუდულია და ძირითადად 72 საათით განისაზღვრება, რის გამოც 24 საათის შემდეგ არარეალიზებული პროდუქცია საწარმოს უბრუნდება. საწარმო ახდენს მომგებულ პროდუქციის ჩამოფასებას. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება მოგება/ზარალის ანგარიშზე. სხვა აქტივების გაუფასურება საანგარიშგებო პერიოდში არ დაფიქსირებულა.

საზოგადოება პერიოდის ბოლოს არსებულ მოთხოვნებზე აფასებს გაუფასურების ნიშნებს და ასეთის არსებობის შემთხვევაში ახორციელებს შესაბამის კორექტირებებს. შესაძლო გაუფასურების საფუძვლად მიჩნეულია დებიტორების ფინანსური პრობლემები, დეფოლტი ან/და ერთ წელზე მეტი ვადით გადაცილება და სხვა. შესაბამისად, საზოგადოება ასეთ აქტივებს ან/და აქტივების ნაწილს აღიარებს ხარჯად.

|                                        |                  |                  |
|----------------------------------------|------------------|------------------|
| <b>დასახელება</b>                      | <b>2022 წ</b>    | <b>2021 წ</b>    |
| მარაგების გაუფასურების ხარჯი           | (365 026)        | (236 868)        |
| სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი | (167 802)        |                  |
| <b>ჯამი</b>                            | <b>(532 828)</b> | <b>(236 868)</b> |

#### 5.1.9. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

##### 5.1.9.1. აუდიტის ანაზღაურება:

|                                    |                |                |
|------------------------------------|----------------|----------------|
| <b>დასახელება</b>                  | <b>2022 წ</b>  | <b>2021 წ</b>  |
| აუდიტორის მომსახურების მომსახურება | -15 254        | -16 320        |
| <b>ჯამი</b>                        | <b>-15 254</b> | <b>-16 320</b> |

##### 5.1.9.2. საკონსულტაციო ხარჯი:

|                          |               |               |
|--------------------------|---------------|---------------|
| <b>დასახელება</b>        | <b>2022 წ</b> | <b>2021 წ</b> |
| მონიტორინგის მომსახურება | -4 200        | -4 150        |
| <b>ჯამი</b>              | <b>-4 200</b> | <b>-4 150</b> |

##### 5.1.9.3. საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა):

|                    |                 |                |
|--------------------|-----------------|----------------|
| <b>დასახელება</b>  | <b>2022 წ</b>   | <b>2021 წ</b>  |
| ქონების გადასახადი | -102 589        | -80 603        |
| მიწის გადასახადი   | -7 556          | -7 556         |
| <b>ჯამი</b>        | <b>-110 145</b> | <b>-88 513</b> |

#### 5.1.9.4. კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები:

| დასახელება              | 2022 წ         | 2021 წ         |
|-------------------------|----------------|----------------|
| კომუნალური ხარჯები      | -11 770        | -11 748        |
| ფოსტის მომსახურება      | -              | -680           |
| სსიპ 112-ის მომსახურება | -100           | -48            |
| დასუფთავება             | -5 311         | -2 695         |
| <b>ჯამი</b>             | <b>-17 171</b> | <b>-15 171</b> |

#### 5.1.9.5. საოპერაციო იჯარის ხარჯი:

| დასახელება                 | 2022 წ         | 2021 წ         |
|----------------------------|----------------|----------------|
| იჯარის ხარჯი (მიწის იჯარა) | -18 986        | -15 245        |
| <b>ჯამი</b>                | <b>-18 986</b> | <b>-15 245</b> |

#### 5.1.9.6. სხვა საოპერაციო ხარჯები:

სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლში შეტანილია სხვა ადმინისტრაციული და საერთო ხარჯები, რომლებიც ასახული არ არის სხვა მუხლებში:

| ხარჯების დასახელება                                  | 2022 წ            | 2021 წ            |
|------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის ხარჯი               | -65 466           | -65 316           |
| მანქანა-მოწყობ. ღემონტისა და ექსპლ. ხარჯი            | -618 436          | -430 253          |
| ა/მანქანების ექსპლუატაციის ხარჯები                   | -470 961          | -378 024          |
| ტექნიკური და შრომის უსაფრთხოების ხარჯები             | -3 970            | -5 512            |
| სხვადასხვა წვრილმანი ხარჯები                         | -12 089           | -13 361           |
| დაცვის მომსახურება                                   | -48 559           | -40 678           |
| სხვა მომსახურების ხარჯი                              | -99 530           | -116 993          |
| კომპიუტერის ხარჯები                                  | -2 985            | -5 848            |
| საწვავის ხარჯი ადმინისტრ. დანიშნულ.                  | -47 005           | -41 017           |
| ბანკის საკომისიო (ვალუტის ყიდვის ხარჯის კორექტირება) | -0                | -19 826           |
| ბანკის მომსახურება                                   | -260 710          | -128 082          |
| სამივლინებო ხარჯები                                  | -21 000           | -10 135           |
| სხვა ხარჯები                                         | -28 087           | -15 217           |
| საკანცელარიო ხარჯები                                 | -11 217           | -5 187            |
| სამეურნეო ხარჯები                                    | -24 328           | -25 410           |
| მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის ხარჯი               | -43 820           | -69 822           |
| სხვა აქტივების ჩამოწერის ხარჯი                       | -172 470          | -260 443          |
| <b>ჯამი</b>                                          | <b>-1 930 634</b> | <b>-1 631 124</b> |

#### 5.1.9.7. ფინანსური დანახარჯები:

| არასაოპერაციო შემოსავლის დასახელება          | 2022 წ          | 2021 წ          |
|----------------------------------------------|-----------------|-----------------|
| შემოსავალი ფასეულობების უსასყიდლოდ მიღებიდან | 338 279         | 332 164         |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                | 93              | 9 742           |
| ფინანსური სანქცია                            | -99 495         | 28 016          |
| <b>ჯამი</b>                                  | <b>238 877</b>  | <b>369 922</b>  |
| დასახელება                                   | 2022 წ          | 2021 წ          |
| საპროცენტო შემოსავალი                        | 65 249          | 22 675          |
| <b>ჯამი</b>                                  | <b>65 249</b>   | <b>22 675</b>   |
| დასახელება                                   | 2022 წ          | 2021 წ          |
| საპროცენტო ხარჯი                             | -126 780        | -103 053        |
| <b>ჯამი</b>                                  | <b>-126 780</b> | <b>-103 053</b> |
| დასახელება                                   | 2022 წ          | 2021 წ          |
| ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან     | -28 448         | -17 185         |
| <b>ჯამი</b>                                  | <b>- 28 448</b> | <b>- 17 185</b> |

## 6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

6.1. ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება წარმოდგენილია დადგენილი ფორმით. ანგარიშგებაში ფულადი ნაკადების შემოსვლა და გასვლა დაჯგუფებულია საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობების მიხედვით და ერთმანეთისაგან გამიჯნულია.

6.2. 2022 წელს ამონაგები 2021 წელთან შედარებით გაზრდილია საშუალოდ 41%-ით. ამონაგები საოპერაციო საქმიანობიდან მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

| დასახელება                       | ამონაგების ფორმა  | 2022 წ            | 2021 წ            |
|----------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| ამონაგები პროდუქციის მიწოდებიდან | საბანკო ანგარიშზე | 63 813 110        | 43 827 990        |
|                                  | ნაღდი ფულის სახით | 3 752 135         | 3 932 865         |
| ამონაგები ვაჭრობიდან             | ნაღდი ფულის სახით | 160 949           | 141 462           |
| ამონაგები საოპერაციო იჯარიდან    | საბანკო ანგარიშზე | 168 381           | 110 568           |
|                                  | ნაღდი ფულის სახით | 22 675            | 17 021            |
| სხვა შემოსულობა                  | საბანკო ანგარიშზე | 60 829            | 30 363            |
| <b>სულ ჯამი</b>                  |                   | <b>67 978 079</b> | <b>48 060 268</b> |

6.3. საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსავლად კლასიფიცირებულია მხოლოდ ექსპლუატაციიდან გასული ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ამონაგები, რამაც 2021 წელს 13 300 ლარი, ხოლო 2022 წელს 35 8000 ლარი შეადგინა, რაც 2021 წელთან შედარებით - 22 500 ლარით მეტია.

ამასთან, ფინანსური საქმიანობიდან შემოსულობის სახით, საპროცენტო შემოსავლებთან ერთად, ანგარიშგებაში ასევე აისახა ავტოსაგზაო შეთხვევების შედეგად მიღებული საკომპენსაციო თანხები. ამავდროულად, მსს ფასს-ის მოთხოვნათა შესაბამისად, ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებში აისახა, საბანკო სესხი და სახელმწიფოს მიერ სესხის პროცენტის თანადაფინანსების წილი.

| დასახელება                                     | 2022 წ         | 2021 წ           |
|------------------------------------------------|----------------|------------------|
| საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტზე                | 65 249         | 22 675           |
| საბანკო სესხი                                  | 540 000        | 4 000 000        |
| სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სესხის პროცენტი | 250 312        | 110 269          |
| ავტოსაგზაო შემთხვევის კომპენსაცია              | 57 225         | 43 346           |
| <b>ჯამი</b>                                    | <b>912 786</b> | <b>4 176 290</b> |

6.4. საანგარიშგებო პერიოდში საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული განაცემების (გადახდების) სტრუქტურა და მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილში:

| დასახელება                                                    | გასავალი            | 2022 წ            | 2021 წ            |
|---------------------------------------------------------------|---------------------|-------------------|-------------------|
| გადახდა საქონლის/მომსახურების მომწოდ. (გარდა ძირ. აქტივებისა) | საბანკო ანგარიშიდან | 47 924 341        | 36 677 785        |
|                                                               | ნაღდი ფული          | 252 223           | 211 926           |
| გადახდილია ავანსი მომწოდებლებ.                                | საბანკო ანგარიშიდან | 9 420             | 8 160             |
| შრომის ანაზღაურება                                            | საბანკო ანგარიშიდან | 4 657 519         | 3 950 007         |
|                                                               | ნაღდი ფული          | 2 446 591         | 1 592 355         |
| გადახდა დაგროვებით საპენსიო ფონდში                            | საბანკო ანგარიშიდან | 249 768           | 202 187           |
| გადასახადები                                                  | საბანკო ანგარიშიდან | 4 852 791         | 3 276 117         |
| გადახდები სხვადასხვა შინაარსით                                | საბანკო ანგარიშიდან | 626 416           | 512 029           |
| <b>სულ</b>                                                    |                     | <b>61 019 068</b> | <b>46 430 567</b> |

როგორც ცხრილიდან ჩანს საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები წინა წელთან

შედარებით გაზრდილია 31%-ით, რაც პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდამ და გამოყენებული მასალების გაძვირებამ გამოიწვია.

6.5. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებად კლასიფიცირებულია ძირითადი საშუალებების შესყიდვაზე, მონტაჟსა და მშენებლობაზე გაწეული კაპიტალიზებადი ხარჯები:

| დასახელება             | გასავალი              | 2022 წ           | 2021 წ           |
|------------------------|-----------------------|------------------|------------------|
| კაპიტალიზებადი ხარჯები | საბანკო ანგარიშიდან   | 2 851 906        | 3 188 965        |
|                        | ნაღდი ანგარიშსწორებით | 368 976          | 461 568          |
| <b>სულ</b>             |                       | <b>3 220 882</b> | <b>3 650 533</b> |

6.6. წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსურ ხარჯად კლასიფიცირებულია გაცემული დივიდენდები და სხვა ფინანსური მომსახურების ხარჯები (ბანკის საკომისიო, კონვერსიის ხარჯები და სხვა). გადახდილი ადმინისტრაციული ჯარიმები არ იქნა კლასიფიცირებული ფინანსურ ხარჯად, რადგანაც ის ვერ აკმაყოფილებს მსს ფასს-ის მე-11 განყოფილების კრიტერიუმებს. ფინანსური ხარჯების სტრუქტურა მოცემულია ცხრილში:

| დასახელება                     | 2022 წ           | 2021 წ           |
|--------------------------------|------------------|------------------|
| სესხის ძირითადი თანხის დაფარვა | 3 082 456        | 2 730 617        |
| სესხის პროცენტის დაფარვა       | 126 780          | 103 053          |
| სხვა ფინანსური ხარჯი           | 273 638          | 153 410          |
| <b>სულ</b>                     | <b>3 482 873</b> | <b>2 987 081</b> |

6.7. ვალუტის კურსის მერყეობისა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მსს ფასს-ის მოთხოვნათა შესაბამისად ფულადი მუხლების გადაფასების შედეგად მიღებულია არასაოპერაციო ზარალი - 73 028 ლარის ოდენობით.

## 7. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

7.1. 2021 წელს საწარმოს კაპიტალში პარტნიორთა მიერ დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის - 15 638 875 (თხუთმეტი მილიონ ექვსას ოცდათვრამეტი ათას რვაას სამოცდათხუთმეტი) ლარს შეადგენდა.

7.2. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსური მოგება – 6 820 103 ლარით განისაზღვრა.

7.3. საწარმოს დამფუძნებლების მიერ დივიდენდი 2022 წლის მოგებიდან გამოცხადებული არ ყოფილა. ამასთან, 2022 წელს დივიდენდი არ გაცემულა, ხოლო 2018 წლის გაუცემელი დივიდენდი 2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული როგორც ფინანსური ვალდებულება.

7.4. 2022 წელს საწარმოს კაპიტალში პარტნიორთა მიერ დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა და ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის - 22 458 978 (ოცდაორი მილიონ ოთხას ორმოცდათვრამეტი ათას ცხრაასსამოცდათვრამეტი) ლარს შეადგენდა.

## 8. დასკვნითი ნაწილი

8.1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2023 წლის 27 დეკემბერს;

8.2. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

კომპანიის დირექტორი

ნისან იოსებაშვილი

მთავარი ბუღალტერი

იამზე კაპანაძე

შედარებით გაზრდილია 31%-ით, რაც პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდამ და გამოყენებული მასალების გაძვირებამ გამოიწვია.

6.5. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებად კლასიფიცირებულია ძირითადი საშუალებების შესყიდვაზე, მონტაჟსა და მშენებლობაზე გაწეული კაპიტალიზებადი ხარჯები:

| დასახელება             | გასავალი              | 2022 წ    | 2021 წ    |
|------------------------|-----------------------|-----------|-----------|
| კაპიტალიზებადი ხარჯები | საბანკო ანგარიშიდან   | 2 851 906 | 3 188 965 |
|                        | ნაღდი ანგარიშსწორებით | 368 976   | 461 568   |
| სულ                    |                       | 3 220 882 | 3 650 533 |

6.6. წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსურ ხარჯად კლასიფიცირებულია გაცემული დივიდენდები და სხვა ფინანსური მომსახურების ხარჯები (ბანკის საკომისიო, კონვერსიის ხარჯები და სხვა). გადახდილი ადმინისტრაციული ჯარიმები არ იქნა კლასიფიცირებული ფინანსურ ხარჯად, რადგანაც ის ვერ აკმაყოფილებს მსს ფასს-ის მე-11 განყოფილების კრიტერიუმებს. ფინანსური ხარჯების სტრუქტურა მოცემულია ცხრილში:

| დასახელება                     | 2022 წ    | 2021 წ    |
|--------------------------------|-----------|-----------|
| სესხის ძირითადი თანხის დაფარვა | 3 082 456 | 2 730 617 |
| სესხის პროცენტის დაფარვა       | 126 780   | 103 053   |
| სხვა ფინანსური ხარჯი           | 273 638   | 153 410   |
| სულ                            | 3 482 873 | 2 987 081 |

6.7. ვალუტის კურსის მერყეობისა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მსს ფასს-ის მოთხოვნათა შესაბამისად ფულადი მუხლების გადაფასების შედეგად მიღებულია არასაოპერაციო ზარალი - 73 028 ლარის ოდენობით.

## 7. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

7.1. 2021 წელს საწარმოს კაპიტალში პარტნიორთა მიერ დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის - 15 638 875 (თხუთმეტი მილიონ ექვსას ოცდათვრამეტი ათას რვაას სამოცდათხუთმეტი) ლარს შეადგენდა.

7.2. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსური მოგება - 6 820 103 ლარით განისაზღვრა.

7.3. საწარმოს დამფუძნებლების მიერ დივიდენდი 2022 წლის მოგებიდან გამოცხადებული არ ყოფილა. ამასთან, 2022 წელს დივიდენდი არ გაცემულა, ხოლო 2018 წლის გაუცემელი დივიდენდი 2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული როგორც ფინანსური ვალდებულება.

7.4. 2022 წელს საწარმოს კაპიტალში პარტნიორთა მიერ დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა და ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის - 22 458 978 (ოცდაორი მილიონ ოთხას ორმოცდათვრამეტი ათას ცხრაასსამოცდათვრამეტი) ლარს შეადგენდა.

## 8. დასკვნითი ნაწილი

8.1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2023 წლის 27 დეკემბერს;

8.2. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

კომპანიის დირექტორი

ნისან იოსებაშვილი

მთავარი ბუღალტერი

იამზე კაპანაძე



**შპს „იფქლი დილომი“  
(საიდენტიფიკაციო №202296194)  
2022 წლის მმართველობითი ანგარიში**

**1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ:**

1.1. კომპანია დაფუძნებულია 2005 წელს, ფიზიკური პირის შექსპირ იუსუფოვის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, „იფქლი I“-ის სახელწოდებით. კომპანიას რამდენჯერმე შეეცვალა საფირმო სახელწოდება, შეიცვალა პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობაც. ამჟამად კომპანია ფუნქციონირებს შპს „იფქლი-დილომის“ სახელწოდებით.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის პარტნიორები არიან:

- ნისან იოსებაშვილი, წილი კაპიტალში 70%;
- დანიელ იოსებაშვილი, წილი კაპიტალში 30%;

1.2. შპს „იფქლი-დილომი“ (ს.კ. 202296194) 2005 წლის 5 დეკემბერს რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირთა რეესტრში (რეგისტრაციის №1695/002);

1.3. საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, დიდმის მასივი, II კვ., ჩალაძის ქ.

**2. საწარმოს ძირითადი საქმიანობა:**

2.1. სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია საწარმოს საქმიანობის შემდეგი სახეები:

- მარკეტი;
- მაღაზია;
- მაღაზიების ქსელი;
- კაფე;
- საკონდიტრო წარმოება;
- ფქვილის, ფქვილოვანი პროდუქციის და ბურღულეულის წარმოება;
- სადისტრიბუციო ქსელი;
- სხვა პურფუნთუშეულის წარმოება რეალიზაცია.

2.2. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ძირითად საქმიანობას პურ-პროდუქტების წარმოება და დისტრიბუცია-რეალიზაცია წარმოადგენდა.

2.3. საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- პურპროდუქტების საწარმო;
- ფუნთუშეულისა და საკონდიტრო წარმოების საამქრო;
- საფირმო მაღაზია;
- სადისტრიბუციო სამსახური;

**3. ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა:**

3.1. შპს „იფქლი-დილომი“ აწარმოებს პურ-პროდუქტებისა და ფუნთუშეულის ფართო ასორტიმენტს:

- მასიური წარმოების თეთრი პური (თეთრი ბატონი, თეთრი ბატონი დაჭრილი, „დიდმის ბატონი“, „დიდმის ბატონი +“, თეთრი აგური);
- ცეხვილი (რუხ) პური და ქატოს პური;
- შავი პურის სახეობებს: ბატონი შავი, მოხარშული პური, მოხარშული ჭვავის პურს;
- საფირმო პურის სახეობებს: საფირმო თეთრი პური „აგური“, საფირმო თეთრი პური „მრგვალი“, საფირმო შავი პური, დიაპური, დიეტური პური, მზესუმზირის პური,

თაფლის პური;

– ასევე, 20-მდე სხვადასხვა ფუნთუშეულის ნაწარმი;

კომპანიის პროდუქცია იყიდება ქ. თბილისში, მცხეთაში, გორში, ხაშურში, დასავლეთ საქართველოსა და კახეთის რეგიონებში. პურპროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ბაზარზე დიდი კონკურენციაა. შპს „იფქლი-დილომი“, პროდუქციის ხარისხისა და აქტიური მარკეტინგული საქმიანობის ხარჯზე, დღეისათვის კარგად ართმევს თავს ამ კონკურენციას. კომპანიამ 2018 წელს დაიწყო და 2019 წელს დაასრულა საწარმოს ტექნიკური გადაიარაღება-განახლება და დაინერგება თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები.

2020 წელს ვაშლიჯვარში გოძიაშვილის ქუჩაზე დამატებით შესყიდულ იქნა საწარმოო ფართი და დაიწყო მისი რეკონსტრუქცია. ახალ საწარმოო ფართზე გათვალისწინებულია ფუნთუშეულისა და ცომეული საკონდიტრო პროდუქციის წარმოების გადატანა.

2020-2021 წლებში პურ-პროდუქტების საწარმოო ბაზა ძირითადად აღჭურვილია იმპორტული ტექნოლოგიური მოწყობილობებით. ასევე, მაღალია ძირითადი და დამხმარე მასალების იმპორტის წილი, რაც თავისმხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს პურ-პროდუქტების ბიზნესზე. კერძოდ, შიდა ბაზარზე არასტაბილურია ძირითადი ნედლეულის – ფქვილის ფასი. ვალუტის კურსის ზრდის შედეგად იზრდება მოწყობილობებისა და სათადარიგო ნაწილების ღირებულება, იზრდება ტექნოლოგიური მოწყობილობების ექსპლუატაციის ხარჯები, რაც პირდაპირ აისახება წარმოების დანახარჯებზე. ამასთან, საკვები პროდუქტების შეფუთვის მიმართ რეგულაციების გამკაცრება ზრდის მიწოდების ხარჯებს. 2020 წლის დამდეგს კორონა ვირუსის პანდემიის გამო გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა წარმოების დანახარჯები, იმავე მიზეზის გამო კრიზისი მსოფლიო ეკონომიკაში და მათ შორის იმ ქვეყნებშიც, რომლებთანაც ნედლეულის იმპორტის სახით კომპანიას აქვს ეკონომიკური ურთიერთობა. ცხადია ეს ყოველივე უარყოფითად აისახება კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. თუმცა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გამო პურპროდუქტებზე ფასების გაზრდა შეზღუდულია, რაც ზრდის პურის ბიზნესის რისკებსა და სტაბილურობას.

3.2. ზემოთ აღნიშნული რისკების თავიდან აცილების მიზნით, კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად ხელმძღვანელობას შემუშავებული აქვს გეგმა-ღონისძიებები, კერძოდ:

- თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების შესწავლა და დანერგვა საწარმოში, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის სტაბილურობას, ენერგომატარებლების მოხმარების ეკონომიურობას და ექსპლუატაციის ხარჯების შემცირებას;

- პურპროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა;

- ახალი საფირმო, მაღალ კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა და წარმოებაში ჩაშვება, შედეგად კომპანიის გაანგარიშებით პროდუქციის რეალიზაცია გაიზრდება 20-25%-ით;

- პურპროდუქტების რეალიზაციის არეალის კიდევ უფრო გაფართოება; დასავლეთ საქართველოში და კახეთში დისტრიბუციის ორგანიზაციული სრულყოფა;

- სამედიცინო-პროფილაქტიკური დანიშნულების, მათ შორის დიეტური და დიაბეტური პროდუქციის წარმოების გაფართოება.

- ბავშვთა კვების დანიშნულების ფუნთუშეულის წარმოების ორგანიზება;

- მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილია სარეკლამო პროცესის გააქტიურება და სადისტრიბუციო საქმიანობის არსებითი გაუმჯობესება.

#### 4. პროდუქციის ხარისხი:

4.1. პანდემიის პირობებში პურპროდუქტების შეფუთვა ერთერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. სურსათის უვნებლობის ევროპული სტანდარტები მკაცრ მოთხოვნებს უყენებს პურ-პროდუქტების შეფუთვისა და შესაფუთი მასალების გამოყენებას, რაც ცხადია ზრდის წარმოებისა და მიწოდების დანახარჯებს და შესაბამისად, პირდაპირ მოქმედებს წარმოების რენტაბელობაზე.

4.2. საანგარიშგებო პერიოდში მზა პროდუქციის 100% იფუთებოდა სპეციალურ ქაღალდის პარკებში და პოლიპროპილენის ფირით. ტარდება ღონისძიებები რათა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში საწარმომ დააკმაყოფილოს პროდუქციის შეფუთვის ევროპული სტანდარტების მოთხოვნები.

4.3. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს კვების პროდუქტების უვნებლობის სხვა მოთხოვნების შესრულებასაც. კერძოდ, სპეციალური სითხით, ყოველდღიურად მუშავდება პურის საღისტრიბუციო ავტომატის ძარა და პურის კონტეინერები;

#### 5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები:

5.1. პურ-პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების შესწავლის მიზნით წარმოებს საწარმოს სპეციალისტების მივლინებები სპეციალიზირებულ საერთაშორისო გამოფენებზე;

5.2. კომპანიაში ტარდება კვლევები და ექსპერიმენტები სამედიცინო-პროფილაქტიკური დანიშნულების პურ-პროდუქტების შესაქმნელად;

5.3. დიამეტური პური („დიაპური“) მზადდება მინერალური წყლისა („ძუღერის“) და მცენარეული ექსტრაქტების გამოყენებით, რომელიც სერტიფიცირებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და საწარმოს მიღებული აქვს საავტორო უფლება;

5.4. შპს-ის „იოქლი-დიდომი“ სამი სახეობის პროდუქცია წარმოადგენს საწარმოს ინტელექტუალურ საკუთრებას და დარეგისტრირებულია „საქპატენტის“ ეროვნულ სააგენტოში;

5.5. საწარმო ატარებს ექსპერიმენტებს საექსპორტო პურ-პროდუქტების ტექნოლოგიის შესამუშავებლად. სპეციალური ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს ე.წ. „შოკური გაყინვის“ ოპერაციას, რაც საშუალებას იძლევა პროდუქცია ფერმენტირებულ მდგომარეობაში მიეწოდოს უცხოეთის ქვეყნებში. ასევე ტარდება ღონისძიებები შესაბამისი სამაცივრე მოწყობილობის შესაძენად;

5.6. კომპანია მუშაობს პურ-პროდუქტების წარმოებაში საფუარის შეზღუდვისა და მის ნაცვლად, ნატურალური ასაფუებელი ნედლეულის გამოყენებაზე;

5.7. საწარმო დღეისათვის მუშაობს ყველა სახის ძირი პურის წარმოებაზე ე.წ. „ტკბილი“ პროცესის გამოყენებით. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები ე.წ. „მჟავა“ პროცესის დასანერგად. ასეთი ტექნოლოგიის გამოყენებისას ცომის დაყოვნების დრო იზრდება, მაგრამ, პროდუქცია ჯანმრთელობისათვის უფრო სასარგებლოა.

#### 6. ფინანსური აღრიცხვა –ანგარიშგებისა და შიდა კონტროლის სრულყოფა:

6.1. საწარმო დიდ ყურადღებას უთმობს ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების სრულყოფას. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, შემუშავებულია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა;

6.2. საგადასახადო ვალდებულებებისა და ფინანსური აღრიცხვის გაუმჯობესების

მიზნით, შემუშავდა მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ხდება გადასახადის გადამხდელის პირადი ბარათისა და ფინანსური აღრიცხვის მონაცემების ურთიერთშესაბამისობის სისტემური კონტროლი, რომელიც დაინერგება 2019 წლიდან.

6.3. სისტემატიურად წარმოებს კომპიუტერული პროგრამა „ინფო-ბუღალტერიის“ განახლება;

6.4. საფირმო მაღაზიაში, 2019 წელს დაინერგა კომპიუტერული პროგრამა „fmg-გაყიდვები“;

6.5. წოველწლიურად ტარდება ღონისძიებები შიდა კონტროლის სრულყოფისათვის;

## **7. საწარმოს ურთიერთობა არარეზიდენტ კომპანიებთან**

7.1. საწარმოს აქვს მჭიდრო კომერციული და ტექნიკური კავშირები თურქეთის რესპუბლიკის კომპანიებთან;

7.2. საწარმო აფართოებს კომერციულ ურთიერთობებს იტალიის, პოლანდიის, გერმანიის და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების კომპანიებთან;

## **8. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მდგომარეობა:**

8.1. საწარმო ახორციელებს გარემოს დაცვით ღონისძიებებს. ამასთან, საწარმო სრულად აკმაყოფილებს გარემოს დაცვის სტანდარტებს. კერძოდ:

- პურის საცხობ ღუმელებში შეიცვალა გაზის სანთურები („ფარსონკები“), რის შედეგადაც სტანდარტის ნორმის ფარგლებში შემცირდა გამონახოლქში ნახშირჟანგის (CO) კონცენტრაცია;

- წარმოების პროცესში სპირტული დუღილის შედეგად გამოიყოფა მავნე აირები, რომელთა ოდენობა სტანდარტით გათვალისწინებული ნორმის ქვემოთ მიღწეული იქნა შესაბამისი გამწოვი სისტემების მოწყობით;

- წარმოების პროცესში ჰაერში ფქვილის გაფრქვევის შედეგად დამტვერიანების ნორმამდე შემცირების მიზნით, წარმოების პროცესში ფქვილის მიწოდება ხდება სპეციალური ფქვილის გადამტანი მილის (შნეკის) საშუალებით, რაც გამორიცხავს ჰაერის დამტვერიანებას დასაშვები ნორმის ზემოთ.

8.2. საწარმო ახორციელებს უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის ღონისძიებებს. კერძოდ:

- მომზადდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;

- გატარდა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები;

- საფრთხის შემცველ აპარატურასა და მოწყობილობებზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის ბაზაზე, ჩატარდა სპეციალური მონიტორინგი, განისაზღვრა და გადამზადდა პასუხისმგებელი პირები და მიეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

- საფრთხის შემცველი აპარატურისა და მოწყობილობების სრულყოფილ და ტექნიკურად გამართულ მუშაობაზე გაიცა სათანადო დასკვნები.

8.2. საწარმოს მუშაკები უზრუნველყოფილნი არიან სპეც. ტანსაცმელით.

## **9. სოციალური პროექტები:**

9.1. საწარმო მონაწილეობს სოციალური პროექტების განხორციელებაში. კერძოდ,

ბუნების დაცვისა და ეკოლოგიურ პროექტებში (პროგრამებში);

9.2. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმო მონაწილეობს დაგროვებითი საპენსიო ფონდის პროგრამაში. რაც, ხელს უწყობს მუშაკებს, მონაწილეობა მიიღონ დაგროვებითი საპენსიო ფონდის პროგრამაში;

9.3. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასახმარებლად, საფირმო მაღაზიაში გახსნილია სპეციალური კუთხე, სადაც დაბალ ფასში იყიდება სავაჭრო ქსელიდან დაბრუნებული კვებისათვის ვარგისი პურ-პროდუქტები.

მმართველობითი ანგარიშგება, 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, მომზადებული და დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 27 დეკემბერს

კომპანიის დირექტორი

ნისან იოსებაშვილი


ბუნების დაცვისა და ეკოლოგიურ პროექტებში (პროგრამებში);

9.2. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმო მონაწილეობს დაგროვებითი საპენსიო ფონდის პროგრამაში. რაც, ხელს უწყობს მუშაკებს, მონაწილეობა მიიღონ დაგროვებითი საპენსიო ფონდის პროგრამაში;

9.3. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასახმარებლად, საფირმო მაღაზიაში გახსნილია სპეციალური კუთხე, სადაც დაბალ ფასში იყიდება სავაჭრო ქსელიდან დაბრუნებული კვებისათვის ვარგისი პურ-პროდუქტები.

მმართველობითი ანგარიშგება, 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, მომზადებული და დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 27 დეკემბერს

კომპანიის დირექტორი



ნისან იოსებაშვილი